მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმის ბიზნეს მოდელი

მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმის მოდელში მოცემულია 100 სულიანი მეხორცული ფერმის ფინანსური გათვლები. ინვესტორმა აუცილებელია შეაფასოს კვლევაში მოცემული საქონლის ხორცის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და სწორედ ამის შემდგომ მოახდინოს წარმოების სტრატეგიული დაგეგმარება. ქვემოთ მოცემულია საქონლის ხორცის წარმოების დადებითი და უარყოფი მხარეების დახასიათება.

i. საქონლის ხორცი

მაღალი სტანდარტების ადგილობრივი წარმოების საქონლის ხორცის უმთავრესი დადებითი მხარეა ის რომ, ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე (უმთავრესად აზერბაიჯანი) საკმაოდ მაღალი მოთხოვნილებაა ახალ საქონლის ხორცზე. პროექტით გათვალისწინებული მეხორცული მიმართულების სასუქი ფერმები განთავსებული იქნება სამიზნე ბაზართან სიახლოვეს. რეგიონში უკვე ფუნქციონირებენ მეხორცული ფერმისათვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებლები, მექანიზაციის სერვის ცენტრი და ვეტერინალური და სანაშენე სერვისები. ამავე დროს აღსანისნავია რომ ფერმას ექნება საკმაოდ დაბალი ფიქსირებული ხარჯები. ამ დროისათვის რეგიონში ფუნქციონირებს 4 სერტიფიცირებული სასაკლაო, რომლებიც დაინტერესებული არიან საქონლის ხორცის (ცოცხალი საქონლის) შესყიდვით ან შესაბამისი მომსახურეობით (დაკვლის სერვისი). მაღალტექნოლოგიურ და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმას შესაძლებლობა ექნება ადგილზევე შეიძინოს რეგიონში არსებული ადგილობრივი ჯიშების მოზვრები ან თითონ იყოლიოს მაღალპროდუქტიული სახორცე ჯიშების სანაშნე ბირთვი, საიდანაც მიღებულ ხბორებს დააყენებს შემდგომ სუქებაზე.
რაც შეეხება უარყოფით მხარეებს აქ პირველ რიგში უნდა ვახსენოთ აჭარაში მეცხოველეობის დარგში არსებული პრობლემები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი შემდეგი ფაქტორები:

1. გაუმართავი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მაღალმთაინი სოფლების და საზაფხულო საძოვრების საავტომობილო გზები, რაც მთლიანობაში ართულებს ცოცხალი საქონლის სარეალიზაცი ბაზრებზე ტრანსპორტირებას. მეორეს მხრივ კი ძნელად შესაძლებელს ხდის სახორცე პირუტყვის სუქებისათვის საჭირო ნედლეულის (თივა, კონც. საკვები, ვეტერინალური და მექანიზაციის სერვისები) მიწოდებას.
2. მაღალი კონკურენცია ხორცის იმპორტიორების სახით
3. სახორცე სქონლის წარმოების სფეროში ერთერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მცირე და საშუალო ფერმერების საკმაოდ მწირი ცოდნა სახორცე საქონლის მოვლა შენახვა, სუქების და რეალიზაციის თანამდროვე მეთოდებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია კვებასთან დაკავშირებული საკითხების, დაავადებათა პრევენციის და დიაგნოზის დასმის დაბალი ცოდნა
4. საკვებმწარმოებელი მანქანა დანადგარების დეფიციტი
5. არესბული პირუტყვის ჯიშების დაბალი სახორცე პროდუქტიულობა
6. საქონლის ხორცის გაუმართავი რეალიზაციის არხები და მისი შემდგომი გადამუშავების შესაძლებლობების ნაკლებობა.

კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა რომ რეგიონში საქონლის ხორცის საცალო ფასი კილოგრამზე საშუალოდ შეადგენს 10-15 ლარს და ხოლო საბითუმო ფასი კი 1

კილოგრამზე საშუალოდ 9-9.5 ლარია. საქონლის ხორცის უმეტესი ნაწილი იყიდება აგრარულ და საბითუმო ბაზრებზე, უმნიშვნელო ნაწილი კი საცალო სავაჭრო ქსელებში და სუპერმარკეტებში. რაც შეეხება წარმოების დანახარჯებს ერთ კილოგრამ ხორცზე ის 2.07 ლარს უდრის. ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი 7 წლიანი საინვესტიციო პერიოდის გათვალისწინებით 22%-ს აღწევს.

ii. 100 სულიანი ინტენსიური ტიპის სახორცე ფერმის მშენებლობა და აღჭურვა

იმის გათვალისწინებით რომ 1 სულ სასუქ პირუტყვს ფერმაში თავისუფლად შენახვის სისტემის პირობებში სჭირდება საშუალოდ 9-10 კვადრატული მეტრი, ამიტომ 100 სულიანი ფერმის ასაშენებლად საჭირო იქნება განხორციელდეს ინვესტიცია 1000 კვადრატული მეტრის შენობის ასაშენებლად. ხოლო უხეში საკვების (სილოსის, თივის, სენაჟის, ძირხვენების) საწარმოებლად საჭირო იქნება 50 ჰექტარი სახნავ სათესი მიწის ნაკვეთი. საზაფხულო ძოვებისათვის კი გათვლილი უნდა იქნეს 1 სულ მოზარდზე 1 ჰექტარი.

იმ შემთხვევაში თუ ფერმას ეყოლება საკუთარი სანაშენე ბირთვი, მაშინ სადგომის მშენებლობის დროს ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ფურების სადგომი და ნამატის სახით მიღებული მოზარდის გამოზრდის შესაძლებლობა. შესაბამისი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საკვების საწყობის და ნაკელსაცავის მშენებლობისათვის. ფერმა უნდა აღიჭურვოს ავტომატური საწყურებლებით და ნაკელის გატანის სისტემით. ჯამში პროექტით გათვალისწინებული 500 სულიანი ფერმის (თითოელი ფერმის მასშტაბი 100 სული), ჯამური ღირებულება იქნება 1.750.000 ლარი.

I. კვლევის მეთოდოლოგია

i. კვლევის სტრუქტურა

წინასიტყვაობა **რეზიუმე** **მეთოდოლოგია**	
ბიზნეს მოდელის მომზადება	საქონლის ხორცის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგია და შესაბამისი ნედლეული • მეხორცული ფერმის ადგილმდებარეობის შერჩევა • ფერმის სტრუქტურა • კლიმატური პირობები • საქონლის სუქების სისტემა • საძოვრების მართვა • სასუქი მოზარდის გამოზრდა • სანაშენე საქმიანობა და ჯიშების შერჩევა • საკვებწარმოება • დავადებათა კონტროლი და ვეტერინალური ღონისძიებები

	• ცოცხალი საქონლის ან ხორცის რეალიზაცია საინვესტიციო გეგმა • ინვესტიცირება • ბრუნვა • ინვესტიციებზე უკუგების კოეფიციენტი

ii. სექტორის მიმოხილვა

აღნიშნული ნაწილი მოიცავს ინფორმაციას აჭარაში საქონლის ხორცის წარმოებისა და მოხმარების შესახებ. ამ დროს აუცილებელია საქართველოს მასშტაბით არსებული მოხმარების და ტენდენციების იდენტიფიცირება, რომელიც მოხმარების ზრდის ან შემცირების საერთო სურათს გვიჩვენებს. ქვეთავში დეტალურად იქნება აღწერილი საქართველოს მასშტაბით საქონლის ხორცის არსებული წარმოება და რეგიონში მობილიზებული სიმძლავრეები, რათა დადგინდეს სექტორის განვითარების შესაძლო ვარიანტები. აღსანიშნავია საქონლის ხორცის იმპორტის და ცოცხალი საქონლის ექსპორტის მაჩვენებლების ანალიზი. გაანალიზებული იქნება ქვეყანაში საქონლის ხორცის მოხმარების დადგენა (ერთ სულ მოსახლეზე).

iii. ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

აღნიშნული თავი მოიცავს ინფორმაციას ზოგადად საქართველოს და კერძოდ აჭარის რეგიონში არსებული საქონლის ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ, ანუ ძირითადი მოთამაშეებისა და წარმოებული პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის აღწერა დაწყებული საქონლის საკვების წარმოებით, ვეტერინალური სერვისით, სახორცე მიმართულების ჯიშების გაუმჯობესებით და დამთავრებული მზა პროდუქციის რეალიზაციით (წარმოების დანახარჯების და სარეალიზაციო ფასების დეტალური ანალიზი წარმოდგენილი იქნება ბიზნეს მოდელის ფინანსურ ნაწილში). ქვეთავი მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის ცალკეულ სუბიექტებზე მოქმედი ძირითადი სირთულეების (დაავადებები, კლიმატური პირობები) და პრობლემების შესახებ ინფორმაციას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მეხორცული ფერმის ოპერირებაზე და შემოსავალზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ნედლეულის, სერვისების და კადრების ხელმისაწვდომობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მეხორცული ფერმის გამართულ მუშაობაზე ახდენს დიდ გავლენას.

iv. SWOT ანალიზი

კვლევის ეს ნაწილი მიმართული იქნება რეგიონში მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმების განვითარებისთვის საჭირო ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაზე, რაც პონტეციური ინვესტორის გადაწყვეტილებაზე აუცილებლად იქონიებს გავლენას. ქვეთავში თავს მოიყრის წარმოების ჯაჭვის ანალიზის შედეგებიც. სვოტის ანალიზი იქნება ბაზრის მიმოხილვისა და წარმოების ჯაჭვის ანალიზის შემაჯამებელი ნაწილი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი საქონლის ხორცის წარმოებაზე მოქმედი გარე ფაქტორები და ის შესაძლებლობები, რაც რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით ბიზნესის განვითარების (ზოგიერთ შემთხვევაში დივერსიფიკაციის) საშუალებას მოგვცემს.

v. ბიზნეს მოდელის მომზადება

წარმოების ტექნოლოგიები და სახარჯი მასალები

ამ ნაწილში კონსულტანტი აღწერს მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოდელი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 100 სულიანი, საერთო ჯამში 500 სულის ოდენობის მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმის დაარსებას, სადაც მოხდება სახორცე ჯიშების საქონლის ინტენსიური გამოზრდა სუქება. მოდელის ფარგლებში ასევე განხილული იქნება სახორცე საქონლის გამოზრდა სუქების შემდეგი მეთოდები: საძოვრული, საზოვრულ-ბაგური და ბაგური შენახვის სისტემები. ბიზნეს მოდელში მოცემული იქნება ის კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მეხორცული ფერმის ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობების და საკვებწარმოების შესაძლებლობების გათვალისწინებით. პროექტში დეტალურად იქნება აღწერილი სახორცე მიმართულების ჯიშების მახასიათებლები და მათი კვების რაციონები. პროექტი აგრეთვე მოიცავს სახორცე ფერმის მენეჯმენტის და სახორცე საქონლის გამოზრდა სუქების ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე დეტალურად იქნება აღწერილი საქონლის სუქებისათვის საჭირო საკვების წარმოების, დაავადებათა კონტროლის, ვეტერინალური ღონისძიებების, ფერმის მიკროკლიმატის და მზა გასუქებული საქონლის რეალიზაციის მეთოდები.

vi. საინვესტიციო გეგმა

საინვესტიციო გეგმაში დეტალურად იქნება აღწერილი პროექტი განხორციელების თითოეულ ეტაპზე საჭირო ფინანსური რესურსების რაოდენობა. ამავე დროს ფინანსური ნაწილი მოიცავს საოპერაციო და ფიქსირებულ დანახარჯებს, გაყიდვებს თვეების მიხედვით, მოგება ზარალის და ფულის მიმოქცევის უწყისებს.

vii. კვლევის პროცესის აღწერა

კვლევა ჩატარდება შემდეგი გეგმის მიხედვით: მეორადი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, მეორად წყაროებში არ არსებული ინფორმაციის მიღების მიზნით გამოკითხვების და ინტერვიუების ჩატარება საველე გასვლებით (მეორადი ინფორმაციის არარსებობის პირობებში).

1. მეორადი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი:

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან კვლევითი ინსტიტუტების მიერ წინა წლებში შეგროვილი ყველა არსებული მასალის შეგროვება და მათი კვლევების დეტალური შედეგების გაცნობა;
- ინტერნეტით ხელმისაწვდომი ყველა მონაცემისა და ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, სამინისტროების და სექტორული კომპანიების ვებ-გვერდებიდან);
- ბაზრის არსებული სიტუაციის შესწავლა: ზომა, მოცულობა, კონკურენცია, რესურსების ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი მოთხოვნა და მიწოდება, ექსპორტ-იმპორტის მონაცემები და ა. შ.;
- ქვე-სექტორში, ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული ყველა მოთამაშის აღწერა (მასალების და მომსახურების მომწოდებლები, მწარმოებლები, საცალო მოვაჭრეები);
- ქვე-სექტორებში ღირებულების ჯაჭვის მხარდამჭერი ინსტიტუტები (სამთავრობო ორგანოები, დონორი ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები);

2. პირველადი ინფორმაციის მოპოვება საველე გასვლებით

რა დროსაც კონსულტანტი აგროვებს ქვე სექტორის შესახებ სპეციფიკურ მონაცემებს:

- ინტერვიუ ღირებულებათა ჯაჭვის მოთამაშეებთან (მასალების მომწოდებლები - სასაკლაოები, საბითუმო და საცალო სარეალიზაციო ქსელები);

- ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება: ბაზარზე არსებული შეზღუდვების იდენტიფიცირება და მათი გავლენის შეფასება. დაინტერესებული მხარეების სხვა საკითხების იდენტიფიცირება;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან (სახელმწიფო ორგანოები, დონორი ორგანიზაციები, საფინანსო ინსტიტუტები). აღნიშნული უნდა მოიცავდეს შემდეგს: მიმდინარე და დაგეგმილი მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი, ფინანსური სექტორის დამოკიდებულების განსაზღვრა აღნიშნული სექტორის დაფინანსების თვალსაზრისით (საპროცენტო განაკვეთები, საგირავნო მოთხოვნები, პროცედურები).

II. საქონლის ხორცის წარმოების ბიზნეს მოდელი

ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმაში სუქებაზე დასაყენებელი საქონლის მიზანშეწონილი რაოდენობაა 100 სული.

აღნიშნულ ფერმაში დანერგილი იქნება სასუქი საქონლის გამოზრდის 3 ბიზნეს მოდელი:

1. სუქებაზე დასაყენებელი 150 კილოგრამიანი მამალი (მოზვრების) ხბორების შეძენა და შემდგომ მათი სუქება გაზაფხული-ზაფხულის განმავლობაში საზაფხულო საძოვრებზე, შემოდგომა ზამთრის თვეებში სუქება უნდა გაგრძელდეს დაბლობში "ბაგური ტიპის" ინტენსიური სუქების მეთოდით. საძოვრული კვების პერიოდი გრძელდება 5 თვის განმავლობაში, ხოლო "ბაგური კვების" მინიმალური ხანგრძლივობა კი უნდა იყოს მინიმუმ 2 თვე, რა დროსაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ხორცის ხარისხობრივი ნიშან თვისებები (ხდება კუნთშიგნითა ცხიმის დაგროვება და ხორცი ღებულობს მარმარილოსებრ სტრუქტურას.) ამ დროისათვის სახორცე პირუტყვის სარეალიზაციო ცოცხალი მასა უნდა იყოს 300 კილოგრამი.
   საშუალო დღიური წონამატი: 700 გრ/დღე; ხორცის საშუალო გამოსავლიანობა: 50%

2. საკუთარე სანაშენე ბირთვის (სახორცე ჯიშის ფურების) ყოლა და საკუთარი ხბორების წარმოება, რომლებიც შემდგომ გამოყენებული იქნებიან სახორცე სუქების მიზნით

110 სულიანი სახორცე ჯიშის ფურებიანი ფერმის დახასიათება:

- **ხორცის წარმოება:**

საშუალო დღიური წონამატი: 850 გრ/დღე;

სარეალიზაციო ცოცხ. წონა: 300-350 კგ

სარეალიზაციო ასაკი: 12-14 თვე

ხორცის საშუალო გამოსავლიანობა: 55%

110 სული ფურიდან 90% ნამატი = 100 სული ხბო

გამოწუნებული % წელიწადში (ფური) 5%= 5 სული

სარეალიზაციო (სასუქი საქონელი) სული ----100 სული

როგორც წესი სახორცე მიმართულების ჯიშების ფურების მიერ წარმოებული რძე მთლიანად გამოიყენება ხბორების გამოსაკვებად და ხბორების რძით კვება ხდება პირდაპირ ძუძუზე. სახორცე მოზარდის რძით კვების პერიოდი გრძელდება 4-6 თვის განმავლობაში. რძით კვების პერიოდის დამთავრებიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში მოხდება სასუქი მოზარდის ბაგურ საძოვრული სისტემით გამოზრდა.

3. დამამთავრებელი სუქებისათვის 150-200 კილოგრამიანი მოზვრების შეძენა, ბაგური ტიპის სუქებაზე დაყენება და მათი გასუქება 300-350 კილოგრამ ცოცხალ წონამდის.
   საშუალო დღიური წონამატი: 900 გრ/დღე;
   სუქების საშუალო ხანგრძლივობა 4-5 თვე
   ხორცის საშუალო გამოსავლიანობა: 58%

100 სულიან სასუქ ფერმაში გამოყენებული იქნება სახორცე პირუტყვის სუქების შემდეგი სქემა:

- **კვება რაციონის გაანგარიშება**

უხეში და წვნიანი საკვებისა და კონცენტრირებული საკვების თანაფადობა: 80% უხეში - 15-20 % კონცენტრატი.

<u>უხეში საკვები</u>: სილოსი, თივა, სენაჟი, ძირხვენები

<u>კონცენტრირებული საკვები:</u> ქერი, სიმინდი, მზესუმზირის/სოიოს შროტი

ფერმაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგი ვეტერინალური და სანაშენე ღონისძიებების გატარებას:

დაავადებების კონტროლის მიზნით ფერმა უნდა იყოს მკაცრად იზოლირებული და ტარდებოს პროფილაქტიკური ვაქცინაციები გადამდები ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებებზე.

100 სულიანი სახორცე ფერმის დასაარსებლად საჭიროა სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი როგორც ფერმის მშენებლობისათვის, ასევე საკვების დამზადებისათვის და საზაფხულო საძოვრებზე სუქებისათვის.

იმისათვის რომ აშენდეს 100 სულ სასუქ საქონელზე გათვლილი ფერმის შენობა, ამიტომ საჭირო იქნება 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, ხოლო უხეში საკვების (სილოსის, თივის, სენაჟის, ძირხვენების) საწარმოებლად საჭირო იქნება 50 ჰექტარი სახნავ სათესი მიწის ნაკვეთი. საზაფხულო ძოვებისათვის კი გათვლილი უნდა იქნეს 1 სულ მოზარდზე 1 ჰექტარი.

სასუქი პირუტყვის სადგომად რეკომენდირებულია აშენდეს მარტივი „ნავესის“ ტიპის შენობა, სადაც მოხდება პირუტყვის კვება, დაწყურება და ნაკელის გატანა. აღნიშნული შენობა ასევე მოიცავს უხეში და კონცენტრირებული საკვების შესანახ ფართს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ

ფერმას ეყოლება საკუთარი სანაშენე ბირთვი ფურების სახით, მაშინ შენობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამშობიარო განყოფილებაც. ფერმა სრულებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სასმელი წყლის და ელექტროენერგიის მიწოდებით. 100 სულიანი ფერმის მშენებლობის მთლიანი ღირებულება იქნება 200 000 ლარი

III. წარმოების ტექნოლოგია და შესაბამისი ნედლეული

i. ჯიშის შერჩევა

ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის (მეხორცული) ფერმის სიცოცხლისუნარიანობისა და მაღალი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად რეკომენდირებულია სუქებაზე დასაყენებელად შერჩეული იქნეს საქონელის ისეთი ინტენსიური ტიპის მეხორცული ჯიშები როგორიცაა: ანგუსური, წაბლა შვიცური ან სიმენტალური, აღნიშნული ჯიშები გამოირჩევიან ასევე ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან მაღალი ადაპტაციის უნარით და ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით ხასიათდებიან ცოცხალი მასის მაღალი წონამატით. შედარებით ექსტენსიური სუქებისას ასევე რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს ისეთი ადგილობრივი ჯიში როგორიცაა წაბლა კავკასიური.

ii. ფერმის მართვა

სუქებაზე დასაყენებლად შერჩეული პირუტყვი იდენტიფიცირებული უნდა იქნეს შესაბამისი სანომრე ნიშნებით, რათა მოხდეს თითოელი პირუტყვზე ჩანაწერების წარმოება და ისეთი ინფორმაციის შენახვა როგორიცაა: ცხოველის ჯიში, კვების რაციონი, მათი დღიური წონა მატი, მკურნალობა და პროფილაქტიკური ვაქცინაციები. ასევე რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს ჩანაწერთა წარმოების კომპიუტერული პროგრამები.

ინტენსიური სუქებისას მაღალი ეფექტის მიღების მიზნით სასურველია ფერმის შენობაში მოწყობილი იქნეს ბარიერები, რათა სხვადასხვა ასაკობრივი და ცოცხალი მასის მოზარდები განთავსდნენ სხვადასხავა ჯგუფებში.

იმისათვის რომ ფერმაში მუდმივად იმყოფებოდნენ ჯანმრთელი ცხოველები და მოხდეს სხვადასხვა ინფექციური და ინვაზიური დაავადებების კონტროლი, ამისათვის აუცილებელია რომ ფერმას გააჩნდეს შესაბამისი დეზბარიერები, როგორც მომსახურე პერსონალის და ვიზიტორებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებებითვის.

ასევე შესაბამისად უნდა იქნეს გამართული ფერმის ელექტროენერგიით, წყლით მომარაგების და ნაკელის გატანა- სასუქად გამოყენების სისტემები.

iii. ფერმის აღჭურვილობა და მექანიზაცია

თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის ფერმა აღჭურვილი უნდა იქნეს მიკროკლიმატის შემქმნელი სავინტილაციო სისტემით, ცხოველთა დაწყურებისათვის საჭირო ავტომატური საწყურებლებით, ნაკელის გასატანი სკრეპერით და საკვებდამრიგებელი მიქსერით. ყოველივე ზემოთაღნიშნული 100 სულიანი ფერმის აღჭურვილობის საინვესტიციო ხარჯი იქნება 50 000 ლარი.

ცხოველთა კვებისათვის და ფერმაში წარმოებული ნაკელის გატანისათვის საჭირო იქნება შემდეგი მექანიზაცია: 80 ცხენის ძალის ტრაქტორი, ტრაქტორის მისაბმელი (4 ტონა თვირთამწეობა), სათიბელა, წნეხამკრეფი, სილოსის დამაქუცმაცებელი (ჩოპერი) და ნაკელის გამშლელი. ფერმისათვის საჭირო მექანიზაციისათვის საჭირო იქნება 100 000 ლარის ინვესტიცია.

iv. სასუქი საქონლის კვება

ინტენსიური ტიპის სახორცე მიმართულების ფერმაში გამოყენებული უნდა იყნეს ისეთი კვების სისტემა და რაციონი რომელიც სრულებით უზრუნველყოფს სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ყოველდღიურ მოთხოვნას პროტეინზე და ენერგიაზე.

ფერმაში ცხოველთა „ბაგური კვების“ სისტემის გამოყენებისათვის აუცილებელი იქნება ფერმის სიახლოვეს მოეწყოს სილოსის ტრანშეა, რომლის ფართობი გათვლილი იქნება იმ სტანდარტით რომ 1 კვადრატულ მეტრში შესაძლებელია ჩაიდოს 700 კილოგრამი მწვანე მასის 70% ტენიანობის სილოსი. ერთ სულ სასაუქ მოზარდის დღიურ ულუფაში საშუალოდ გამოყენებული იქნება 20 კილოგრამი სილოსი, ხოლო სილოსი კვების ხანგრძლივობა გამომდინარე საქონლის ხორცის წარმოების ბიზნეს მოდელიდან გაგრძელდება საშუალოდ 150-180 დღე, შესაბამისად ჯამში ერთ სულ მოზარდზე საჭირო იქნება 3000-3600 კილოგრამი სილოსი, ხოლო 100 სულზე კი 300-360 ტონა. ფერმის შენობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ფართი ცხოველთა კვების რაციონში გამოყენებული სხვა უხეში საკვების (თივა, ნამჯა) და კონცენტრირებული საკვების დასაწყობებისათვის.

მნიშვნელოვანია რომ სასუქი პირუტყვის რაციონი დაბალანსებული იქნეს მიკროელემენტების, ვიტამინების და მინერალების შესაბამისი რაოდენობით.

v. ცხოველთა ჯანმრთელობა

იმის გამო რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ის ეკონომიკური დანაკარგები რაც შეიძლება გამოწვეული იქნეს სხვადასხავა ვეტერინალური დაავადებების გამო, ამიტომ მეცხოველეობის ფერმაში ცხოველთა ჯანმრთელობის და დაავადებების პრევენციის მიზნით, ფერმის მომსახურე ვეტერინარი მოახდენს პირუტყვის ყოველდღიურ მონიტორინგს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ასევე დაავადებული ცხოველების იზოლაციაზე და მათ შესაბამის მკურნალობაზე. პირუტყვის პროფილაქტიკური ვაქცინაციები კი განხორციელდება სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარების მიერ, პირუტყვის როგორც ფერმაში შეყვანამდის, ასევე მათი საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანის წინ.

vi. სანაშენე მუშაობა და ხელოვნური განაყოფიერება

სანაშენე საქმიანობის წარმოების მიზნით ფერმაში არსებული პირუტყვს და განსაკუთრებით სანაშენე ბირთვი აუცილებლად უნდა დაინომროს და გაუკეთდეს ინდივიდუალური სანაშენე ბარათები.

იმ შემთხვევაში თუ მეცხოველეობის ფერმას ეყოლება საკუთარი სანაშენე ბირთვი, მაშინ ფერმაში არსებული მაღალპროდუქტიული სახორცე ჯიშის ფურების გენეტიკური რესურსის შესანარჩუნებლად და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია ფერმაში დაინერგის ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერება. დღეისათვის აჭარის თითქმის ყველა რაიონში საკმაოდ აქტიურად და წარმატებით ფუნქციონირებს ხელოვნური განაყოფიერების სერვის ცენტრები, რომლეთაც სრულებით შეუძლიათ მაღალი სტანდარტების სერვისი გაუწიონ არსებულ და ახლად დაარსებულ სახორცე მიმართულების ფერმებს, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება სახორცე ჯიშებისათვის დამახასიათებელი მაღალი პროდუქტიულობის შენარჩუნება გაუმჯობესებისა და სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით. ფერმაში არსებული სახორცე ჯიშის ფურების განაყოფიერება მოხდება მაღალპროდუქტიული სახორცე ჯიშების ღრმად გაყინული სპერმით, უმთავრესად გამოყენებული იქნება ანგუსური, სიმენტალური და წაბლა შვიცური ჯიშის კუროების სპერმა.

vii. პირუტყვის დაწყურება და ნაკელის გატანა

პირუტყვის „ბაგურად კვებისას“ 1 სულ სასუქ მოზარდზე წყლის დღიური ხარჯვის ნორმა მერყეობს 60-80 ლიტრზე/დღეში და სასუქ მოზარდს წყალი უნდა მიეცეს შეუზღუდავად მთელი დღის განმავლობაში.

კარგად გამართული ნაკელის გატანის სისტემა ფერმაში უზრუნველყოს საქებაზე მყოფი პირუტყვის კომფორტს, მუშახელის დროის ეფექტურად გამოყენებას, უნარჩენო წარმოების დანერგვას და გარემოს დაცვის ასპექტებს. ფერმაში ნაკელის გატანის მიზნით რეკომენდირებულია დამონტაჟდეს ნაკელის გატანის ავტომატური სისტემა ე.წ. „სკრეპერი“, რომელიც იმოძრავებს პირუტყვის სადგომ დერეფნებში და მისი ოპტიმალური ფართი სიგანეში იქნება დაახლოებით 180 სანტიმეტრი. ფერმიდან ნაკელი გატანილი უნდა იქნეს რეგულარულად და მისი შენახვა უნდა განხორციელდეს ფერმასთან უშუალო სიახლოვეს განლაგებულ ნაკელსაცავში. ნაკელსაცავის ფართობის გათვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რომ საშულოდ 300-350 კილოგრამიო ცოცხალი წონის პირუტყვი ყოველდღიურად აწარმოებს 45 ლიტრ ნაკელს. ახლად წარმოებული ნაკელი მის სასუქად გამოყენებამდის შეანახული უნდა იქნეს ნაკელსაცავში მინიმუმ 2 თვის განმავლობაში.

viii. მეხორცული ფერმის ადგილმდებარეობის შერჩევა



ინტენსიური ტიპის ფერმის შენობის ასაშენებლად ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი კლიმატური პირობები. რეკომენდირებულია სასუქი ფერმების დამამთავრებელი სუქებისათვის საჭირო მარტივი ტიპის ფერმები აშენებული იქნეს დაბლობ

ადგილებში. სადაც სახორცე საქონლის სუქება განხორციელდება უმეტესად შემოდგომა ზამთრის თვეებში. აღნიშნული ფერმები განთავსებული უნდა იქნეს ძირითადი სასოფლო სამეურნეო ნედლეულის მომარაგებელ და სერვის მიწოდების წაყაროებთან სიახლოვეს. უმთავრესად საჭირო ნედლეული სახორცე საქონლის სუქებისათვის არის მოცულობიანი უხეში საკვები (თივა, სილოსი) და კონცენტრირებული საკვები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი სერვისების ხელმისაწვდომობა როგორიცაა ვეტერინელური მომსახურეობა, ელექტროენერგია, წყალი, ნარჩენების უტილიზაცია და სხვა. ფერმის ადგილმდებარეობა უნდა შეირჩეს ისე რომ მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს როგორც საჭირო ნედლეულის და სერვისების მიწოდება, ასევე მზა გასუქებული საქონლის სარეალიზაციო ბაზრებამდის შეუფერხებელი ტრანსპორტირება.

რეკომენდირებულია აშენდეს ნავესური ტიპის ფერმა, რომლის მშენებლობისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მარტივი ტიპის კონსტრუქციები და სამშენებლო მასალები. ფერმის მიკროკლიმატის გაკონტროლება მოხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურად განთავსებული მექანიკური ვენტილაციის საშუალებებით.

ix. ფერმის სტრუქტურა

100 სულიანი სახორცე ფერმს ყოვედღიურ მართვაზე პასუხისმგებელი იქნება ფერმის მენეჯერი. ფერმის წარმატებით ფუნქციონერებისათვის სასურველი არის ფერმის მენეჯერს ჰქონდეს სათანადო პროფესიონალური ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება ზოოტექნიაში. რეკომენდირებულია მოხდეს ფერმის ყველა მომსახურე პერსონალის (ზოოტექნიკოსის, ვეტექიმის, ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსის და საკვებმწარმოებელ აგრონომის) გადამზადება ცხოველთა მოვლა შენახვის თანამედროვე საკითხებში.

სასურველია პირველი 6 თვის განმავლობაში აღნიშნულ ფერმას მოემსახუროს მაღალკვალიფიცირებული მეცხოველეობის ექსპერტი, რომელიც მინიმუმ თვეში 2 ჯერ განახორციელებს ვიზიტს, გააკეთებს შექმნილი მდგომარეობის ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ვეტერინალური სერვისის და საკვებდამზადებისათვის კი გამოყენებული იქნება შესაბამისი საკონტრაქტო მომსახურეობა.

იმ შემთხვევაში თუ სახორცე ფერმას ეყოლება თავის სანაშენე ბირთვი (ფურები), მაშინ დამატებით საჭირო იქნება ფერშალის/ხგ. ტექნიკოსის კონტრაქტით მომსახურეობა.

100 სულიანი სახორცე ფერმა უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი პერსონალით და მისი მენეჯმენტის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



100 სულიანი ფერმის დახასიათება:

ფერმის მართვა:

- ერთ 100 სულიან ფერმაზე:

1 ფერმის მენეჯერი

1 ვეტექიმი

1 ფერშალი / ხგ. ტექნიკოსი

2 პირუტყვის მომვლელი

1 ფერმის დარაჯი

100 სული სახორცე პირუტყვის ყოველდღიურ მოვლა შენახვას განახორციელებს 2 დახელოვნებული მომვლელი, რომელთა უმთავრესი ფუნქცია იქნება პირუტყვის კვება, დაწყურება და სადგომის დასუფთავება.

x. კლიმატური პირობები

სახორცე საქონლის სუქებისათვის ყველაზე ოპტიმალური კლიმატური პირობებია ზაფხულის ღია საძოვრებზე შენახვისას ჰაერის ტემპერატურა დღის განმავლობაში 20-30 გრადუს ცელსიუსი.

დახურულ სადგომში შენახვისას ჰაერის ტემპერატურა 5-15 გრადუს ცელსიუსი, ფარდობითი ტენიანობა 50 დან 80%.

სახორცე საქონლის სუქებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ზაფხულში მცირე ნალექები, რადგანაც გვალვა მნიშვნელოვნად ამცირებს ხელმისაწვდომ საძოვრებს, ზემოქმედებს საკვებწარმოებაზე და შესაბამისად იზრდება საკვების დეფიციტით გამოწვეული ფასები.

გვალვიან წლის დროს საკვებზე გაზრდილი ფასის პირობებში ხდება პირუტყვის მასიური რეალიზაცია, რაც იწვევს ცოცხალ პირუტყვზე და ხორცზე ფასების დაბლა დაწევას.

xi. საქონლის სუქების სისტემა

სუქების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ცხოველის ჯიშზე, მის ნაკვებობასა და ცოცხალ წონაზე, აგრეთვე კვების დონეზე. ეკონომიურად ყველაზე ეფექტურია 1 წლამდე მოზარდის სუქება. საქმე ის არის, რომ ამ ასაკობრივ პერიოდში ცხოველის ორგანიზმი ვითარდება ძალიან სწრაფად, რაც საკვების მინიმალური დანახარჯებით გვაძლევს მაღალი წონამატის მიღების საშუალებას. როგორც წესი, სუქების დასაწყისში მოზარდის ცოცხალი მასა 120-150 კგ-ა, ხოლო სუქება უნდა დამთავრდეს 300-350 კგ ცოცხალი მასის მიღწევისას. უფრო დიდ ცოცხალ მასამდე სუქებისას იზრდება ყოველ 1 კგ წონამატზე დახარჯული საკვების რაოდენობა.

ბაგაზე სუქებისას რეკომენდირებულია ცხოველების შენახვა დაბმულად ან ჯგუფურად, გალიებში. შესაბამისად რეკომენდირებულია პირუტყვის დაბმული ან დაუბმელის შენახვის სისიტემების მოწყობა.

დაუბმელი შენახვის სისტემის უპირატესობაა ის, რომ მკვეთრად მცირდება შრომითი დანახარჯები პირუტყვის მოვლა შენახვაზე, იმის ნაცვლად რომ მომვლელმა მიუტანოს საკვები და წყალი პირუტყვს, დაუბმელი შენახვის შემთხვევაში პირუტყვს ფერმის შიგნით აქვს თავისუფალი გადაადგილების საშუალება და პირუტყვი თვითონ მიდის საკვებთან და წყალთან.

დაბმული შენახვის სისტემის უპირატესობაა ის რომ როდესაც ფერმაში გვერდიგვერდ ერთადაა მოთავსებული რამოდენიმე ძროხა, ამ შემთხვევაში ყველა ძროხა გამომდინარე თავისი დღიური ცოცხალი მასის წონამატიდან ინდივიდუალურად ღებულობს მისთვის განკუთვნილ საკვების რაციონს და გამორიცხულია კონკურენცია სხვა ძროხებთან.

საძოვარზე სუქება ხორცის წარმოებისა და ცხოველის ნაკვებობის გაუმჯობესების ყველაზე ნაკლებად შრომატევადი და იაფი მეთოდია. ძირითადი პირობაა საჭირო რაოდენობით

საძოვრული საკვებით ცხოველების უზრუნველყოფა, რომელიც გვაძლევს ზრდის გენეტიკური პოტენციის მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას.

ბუნებრივ საძოვარზე სუქებისას, ხორცის წარმოება შესაძლებელია პრაქტიკულად დანახარჯების გარეშე. ამასთან, მაღალმოსავლიან საძოვარზე ადგილობრივი ჯიშის მოზარდი ყოველთვიურად გვაძლევს 18-20 კგ, ხოლო დამატებით მცირე რაოდენობით კონცენტრირებული საკვების მიცემისას 23-25 კგ წონამატს.

ცხოველები საძოვარზე გაყვანა რეკომენდებულია მაშინ, როდესაც ბალახნარის სიმაღლე მიაღწევს 12-15 სმ- ს. ამასთან, საძოვარზე ბალახის სიმაღლემ არ უნდა გადააჭარბოს 25 სმ- ს, ვინაიდან გადაზრდილ ბალახნარს ცხოველი ძოვს უხალისოდ, ხოლო საყუათო ნივთიერებების შემცველობა საჭირო რაოდენობის წონამატის მისაღებად არ არის საკმარისი. კარგი ეფექტს მისაღებად გამოყენებული უნდა იქნეს ნაკვეთმორიგეობითი ძოვება.

საძოვრული სეზონის დამთავრებისას სასუქი ცხოველი ბოლო ორი თვის განმავლობაში უნდა იყვნენ გადაყვანილი ბაგურ შენახვაზე და მათი კვება უნდა გაგრძელდეს საშუალოდ 300 კილოგრამი ცოცხალი მასის მიღებამდის.

xii. საძოვრების მართვა

სახორცე პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდის ერთერთი ეფექტური გზაა არსებული საძოვრების ეფექტურად გამოყენება. საძოვრების გაუმჯობესების ეკონომიკურიკურად ყველაზე მომგებიანი მეთოდია ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისიტემის დანერგვა.
ნაკვეთმორიგეობითი ძოვება უზრუნველყოფს: ბალახნარის ნორმალურად ვეგეტაციას და მოსავლიანობის ამაღლებას. ნიადაგის ეროზიის შემცირებას. ბალახის ჭამადობის ზრდას და დანაკარგების შემცირებას. ცხოველების დაცვას პარაზიტული დაავადებებისაგან. ნაკვეთმორიგეობითი ძოვების დანერგვით პროდუქტიულობი გაიზრდება 20-25%-ით.

ნაკვეთმორიგეობითი ძოვების მოსაწყობად არსებული საძოვარი თვალზომით დაყოფა 5-6 თანაბარი ზომის ნაკვეთად, რომელიც შემდგომ შემოიღობება ელექტრო მწყემსით. სასუქი საქონელი თითოეულ ნაკვეთზე საძოვრად გაჩერდებია 5–7 დღე, შემდეგ კი გადაყვანილი იქნებიან მეორე ნაკვეთში და ა.შ.

xiii. საკვებწარმოება

სილოსის დამზადების ტექნოლოგია

სილოსი საკვების დამზადების ყველაზე იაფფასიანი და საიმედო ხერხია. ხარისხიანი სილოსი, როგორც წვნიანი საკვები, აძლიერებს პირუტყვის მადას, აუმჯობესებს მონელებას, ორგანიზმს უზრუნველყოფს ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით. დასილოსება მცენარის მწვანე მასის დაკონსერვების ბიოტექნოლოგიური მეთოდია და უჰაერო გარემოში რძემჟავა დუღილს ეფუძნება. სილოსი შეიძლება დამზადდეს ერთწლიანი და მრავალწლიანი, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნარევისაგან. ადვილად სილოსდება მარცვლოვნები,

მათ შორის სიმინდის, მზესუმზირის, სუდანის ბალახის, სორგოს და სხვ. მწვანე მასა. მცირე რაოდენობის სილოსის შესანახად ყველაზე მარტივი და საიმედო საცავია სილოსის ტრანშეა ან პოლიეთილენის პარკი, სადაც სასილოსე მასის მჭიდროდ დატკეპნა და ჰაერის მაქსიმალურად გამოდევნა იოლია. თუ სილოსის ჩადების და შენახვის წესები კარგად არის დაცული, მაშინ მისი ჩადებიდან 25-30 დღის შემდეგ ჩადებული მასა უკვე ვარგისია საკვებად.

xiv. სასუქი მოზარდის გამოზრდა

ხორცის წარმოების ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კარგი საკვები და სასუქი საქონლის სწორად კვება. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში ცხოველთა კვებაზე გაწეულ დანახარჯებს 70 % -ზე მეტი უკავია. საკვებსა და კვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცხოველთა ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში. არაგადამდები დაავადებების 95 % დაკავშირებულია საკვების ხარისხთან და კვებასთან. უკმარისი კვების პირობებში, ცხოველი სუსტდება, რაც იწვევს სხვადასხვა დაავადებისადმი მათი ორგანიზმის რეზისტენტობის უნარის დაქვეითებას.

სასუქი საქონლის კვების სწორად ორგანიზაცია ითვალისწინებს საყუათო ნივთიერებებით, მინერალური მარილებით და ვიტამინებით ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. არასრულფასოვანი, დაუბალანსებელი ულუფებით კვებისას ცხოველი თავისი სხეულიდან ხარჯავს იმ ნივთიერებებს, რომელთა დეფიციტი არის ულუფაში. შედეგად აღინიშნება ორგანიზმის გაღარიბება და რაც უფრო დიდხანს გრძელდება ასეთი კვების პერიოდი, მით უფრო სუსტდება ცხოველი, ქვეითდება მისი პროდუქტიულობა და აღწარმოების უნარი.

ფერმაში სასუქი ცხოველები უნდა გაიყოს დაახლოებით ერთნაირი ცოცხალი მასის, ასაკის და ნაკვებობის მიხედვით, რის შემდეგ უნდა შედგეს შესატყვისი საკვები ულუფები ჯგუფის ერთ საშუალო ცხოველზე, როგორც ფიზიკური მასით, ასევე შემადგენელი ნივთიერებების გათვალისწინებით.

სახორცე პროდუქტიულობის საქონლისათვის ტიპური ულუფა შეიძლება გამოიყურებოდეს ასე (ცხრილი 1);

ულუფის შედგენისას ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი, იაფი საკვები საშუალებები, მათ შორის ბუნებრივი სათიბების თივა, მარცვლეულის გადამუშავების და მემცენარეობის სხვა ანარჩენები(ლუდის ანარჩენი, მელასა და სხვა).

xv. რეკომენდირებულია შემდეგი საკვები რაციონი

ასაკი (თვე)	წონა (კგ)	წონამატი (დღე/კგ)	რაციონი (კგ/სული/დღე	
			კონცენტრატი **	უხეში საკვები*
3	90	0.70	2.5	10
6	165	0.85	2.5	20
9	240	0.85	2.5	20
12	310	1.00	3.5	25
15	400	1.00	4	25

18	490	1.00	4	25
* ბალახი ან სილოსი 25% მშრალი ნივთიერებით, 10.5 MJ/kg DM (მშრ. ნივთ) ** ტიპიური ინგრედიენტები: ხორბალი, ქერი, ხორბლის ქატო, სიმინდი, სოიოს ან მზესუმზირის შროტი.				

xvi. სახორცე მოზარდის ზრდა/განვითარების ტიპიური გეგმა

ასაკი (თვე)	**3**	**6**	**9**	**12**	**15**	**18**
წონა (კგ)	90	165	240	310	400	490
წონამატი (დღე/კგ)	0.70	0.85	0.85	1.00	1.00	1.00

მიკრო და მაკრო ელემენტების დეფიციტის შევსების მიზნით რეკომენდირებულია სასუქი საქონლის ულუფში გამოყენებული იქნეს მულტიმინერალური და ანტიჰელმინითური სალოკავი ბლოკები „ლოკი-ბლოკი“, „მარგებელი“ და სხვა.

xvii. სანაშენე საქმიანობა და სახორცე ჯიშების შერჩევა

სახორცე სუქებისათვის რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს შემდეგი ადგილობრივი და ინტენსიური ტიპის მაღალ პროდუქტიული მიმართულების ჯიშები:

ადგილობრივი კომბინირებული მიმართულების ჯიშები:

კავკასიური წაბლა ჯიში: გამოყვანილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და დაღესტანში ადგილობრივი ძროხის შვიცურთან და მის მონათესავე ჯიშებთან შეჯვარების გზით.
ფურებისათვის სტანდარტული ცოცხალი მასა შეადგენს 370-430 კგ-ს, კუროებისათვის-570-680 კგ. ცხოველები ხასიათდებიან ზრდის საკმაოდ მაღალი უნარითა და სახორცე პროდუქტიულობით. 15 თვისათვის, ინტენსიურად კვებისას მოზვრების ცოცხალი მასა აღწევს 456 კგ, ხოლო ნაკლავის გამოსავალი კი 59%- ს.

შვიცური ჯიში:

ერთ-ერთი უძველესი ჯიშია გამოყვანილია შვეიცარიაში. დღეისათვის ის მოშენებულია მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 100-მდე ქვეყანაში, ხოლო საერთო სულადობამ უკვე გადააჭარბა 11 მლნ სულს. შვიცის ჯიშის პირუტყვის ხვედრითი წილი განსაკუთრებულად მაღალია ავსტრიაში, იტალიის ალპებში, გერმანიაში, აგრეთვე საფრანგეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში.
ზრდასრული ფურების საშუალო ცოცხალი მასა შეადგენს 500-600 კგ- ს, კურო-მწარმოებლების – 800-1100 კგ-ს, ხოლო ახალშობილი ხბოსი 30-35 კგ-ს. ინტენსიურად გამოზრდასუქებისას მოზვრების სადღეღამისო წონამატი შეადგენს 900-1050 გ-ს, საკლავი გამო-სავალი კი 55-58%-ა.
მისი მონაწილეობით ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და დაღესტნელი სელექციონერების მიერ გამოყვანილია კავკასიური წაბლა ჯიში.

xviii. მაღალპროდუქტიული სახორცე ჯიშები:

ჰერეფორდული ჯიში: არეალით და სულადობით ამ ჯიშს, სახორცე პროდუქტიული მიმართულების ჯიშებს შორის, პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ის გამოყვანილია ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით ჰერეფორდის საგრაფოში, უელსის მთის ქედის მიმდებარე ზონაში. გამოყვანის ზონის რბილი კლიმატის წყალობით ჯიში ჩამოყალიბდა მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ, საძოვარზე შენახვის პირობებში. ჰერეფორდული ჯიში ხასიათდება საძოვრის ბალახის კარგად გამოყენების უნარითა და მოვლა-შენახვის პირობებისადმი ნაკლები მომთხოვნელობით.

ამასთან ერთად, ხასიათდება ზრდის მაღალი პოტენციით, რის შედეგად უკვე 1 წლის ასაკში ზოგიერთი ინდივიდი 450-500 კგ- ს იწონის. ზრდასრული ფურების ცოცხალი მასა 500-600 კგ-ია, კურო-მწარმოებლების- 850-1000, ხოლო ახალშობილი ხბოსი- 30-35 კგ-ა. ინტენსიურად კვებისას მოზარდის სადღეღამისო ნამატი 850-1000 გ-ს აღწევს, ხოლო საკლავი გამოსავალი 58 – 63%-ის ფარგლებშია.

სხვა ჯიშებთან შეჯვარებით მიღებული I თაობის ნაჯვარები, უმეტეს შემთხვევაში, ხასიათდებიან ჰეტეროზისის მაღალი ეფექტით, რაც იძლევა საშუალებას საკვების ნაკლები დანახარჯებით ვაწარმოოთ დიდი რაოდენობით და მაღალი ხარისხის ხორცი.

აბერდინ-ანგუსური ჯიში

ჯიში აბერდინ-ანგუსი (ან ანგუსი როგორც ეს ჯიში არის ცნობილი საერთაშორისოდ) გამოყვანილი იქნა მე-19 საუკუნის შოტლანდიის ჩრდილო აღმოსავლეთით.

აბერდინ-ანგუსი შეფერილობით შეიძლება იყოს შავი ან წითელი მაგრამ შავი დომინანტური შეფერილობაა. ჯიში ხასიათდება ადვიად შობადობის მაღალი ინდექსით, ფურები ადვილად შობენ ნაშიერს და აქვთ კარგი უნარი ნაშიერის გამოზრდის. ხბოებს ახასიათებთ ინტენსიური ზრდა და ძალიან სწრაფად აწარმოებენ მაღალი ხარისხის ხორცს.

ჯიში მალმწიფადია. უკვე 14-16 თვის ასაკში ამთავრებს ინტენსიურ ზრდას და ცოცხალი მასა აღწევს ზრდასრული ინდივიდების 80-85%-ს. გასუქებული პირუტყვის ხორცში დიდი რაოდენობით გროვდება კუნთებსშორისი და კუნთებსშიგა ქონი, რის გამოც ხორცს მარმარილოსებრი შესახედაობა აქვს.

აბერდინ-ანგუსური ჯიში კარგად ეგუება სხვადასხვა კლიმატური ზონის პირობებს, რის გამო იმპორტირებულია აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკასა და სხვაგან. ფურის და კუროს ცოცხალი მასა, შეადგენს 450-550 და 750-850 კგ-ს, ხოლო ახალშობილი ხბოს მასაა 25-30 კგ.

6-8 თვის ასაკში დედიდან ასხლეტილი მოზარდი 170 –200 კგ- ს იწონის, ინტენსიურად სუქებისას დღეღამური ნამატი 800-950 გრამია, ხოლო საკლავი გამოსავალი 60-65%. ხორცის ხარისხით მას ბადალი

არა ჰყავს. ზრდის პოტენციისა და ხორცის ხარისხის გასაუმჯობესებლად ეს ჯიში ფართოდ გამოიყენება სამრეწველო შეჯვარებაში.

შაროლე– გამოყვანილია საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში. დიდტანიანობასთან ერთად გამოირჩევა ზრდის მაღალი ენერგიით, მაგრამ გვიანმწიფადია. კარგად იყენებს ბუნებრივ საძოვრებს, ზამთარში კი უხეშ და სხვა მოცულობიან საკვებს.
საფრანგეთში ფურების ცოცხალი მასა 700-800, კუროების 1000-1400 კგ-ს აღწე-ვს. ახალშობილი ხბოს მასა 40-45 კგ-ა.
ზრდის პოტენციით აღემატება ბრიტანულ სახორცე ჯიშებს, ხოლო ნაკლავის გამოსავლითა და ხორცის ხარისხით ჩამოუვარდება მათ.

მოზვრების დღე ღამური წონამატი სუქებისას 1200 გ- ს აღწევს, საკლავი გამოსავალი კი 55-56%-ა.
ნაკლოვანი მხარეებიდან აღნიშნავენ გართულებული მშობიარობის მაღალ სიხშირეს (ახალ-შობილი ხბოს წონის და თავის დიდი ზომის გამო), აგრეთვე მსხვილ ძვლებს, უხეშ-ბოჭკოვან კუნთოვან ქსოვილს და შედარებით დაბალცხიმიან ხორცს. ჯიშს აშენებენ მსოფლიოს 5 კონტინენტზე.

ბრამანი – გამოყვანილია აშშ-ში მისი ექსტერიერისათვის დამახასიათებელია კისერ-მინდაოს მიდამოში არსებული ხორცოვან-ქონოვანი კუზი, აგრეთვე მეტად დიდი ზომის ყურები და კანის ნაოჭები ღაბაბზე, გუგუბოსა და მუცელზე.
ფურების ცოცხალი მასა 450-550 კგ, კურო-მწარმოებლების 850-100 კგ, ხოლო ახალშობილი ხბოს 25-30 კგ-ა. ძირითადად გამოიყენება სახორცე მიმართულების ტექნოლოგიით, ამიტომ ხბოს ზრდიან თავისუფლად წოვების პირობებში. ჯიში გამოირჩევა პაპანაქება სიცხისადმი მდგრადობით და ზოგიერთი დაავადებისადმი (მაგ. ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, თურქული, ტრიპონოსომოზი) მაღალი რეზისტენტობით. პრაქტიკულად არ ავადდება პიროპლაზმოზით.

ბიფმასტერი გამოყვანილია ტეხასის შტატში (აშშ), ბრამანის ჯიშის ზებუს შეჯვარებით სახორცე პროდუქტიული მიმართულების შორთჰორნის და ჰერეფორდულ ჯიშებთან. ამ



ცხოველებში გაერთიანებულია ორივე მშობელი ფორმის საუკეთესო თვისებები: ზებუსგან მან მიიღო პაპანაქება სიცხისაგან გამძლეობა და დაავადებებისადმი მაღალი რეზისტენტობა, ხოლო შორთჰორნისა და ჰერეფორდულისაგან მალმწიფადობა, ზრდის პოტენცია, მაღალი საკლავი გამოსავალი და ხორცის საუკეთესო საგემოვნო თვისებები.
ფურების ცოცხალი მასა 500-600 კგ-ა, კუროების 850-1000 კგ, ახალშობილი ხბოს 25-35 კგ, ხოლო მოზარდის 6,5-8 თვის ასაკში დედიდან ასხლეტისას- 190-220 კგ

ბრანგუსი: გამოყვანილია ამერიკული ბრამანისა და აბერდინ-ანგუსური ჯიშების შეჯვარებით.
ჯიში სახორცე პროდუქტიული მიმართულებისაა. ჯიშში გაერთიანებულია გამოსავალი ფორმების საუკეთესო თვისებები: ბრამანის ჯიშის ზებუს ტოლერანტობა პაპანაქება სიცხისადმი, მაღალი სიცოცხლისუნარიანობა, საუკეთესო დედობრივი თვისებები და პიროპლაზმიდოზებისა და ზოგიერთი სხვა დაავადებისადმი რეზისტენტობა, ერთის მხრივ და აბერდინ-ანგუსური ჯიშის მალმწიფადობა, ზრდის სწრაფი უნარი, მაღალი ნაყოფიერება და საკლავი პროდუქტიულობა. კურო-მწარმოებლების ცოცხალი მასა შეადგენს 750-800 კგ- ს, ფურების 450-500 კგ- ს, ხოლო ხბოს ცოცხალი მასა დაბადებისას 25-27 კგ- ს. 6-8 თვის ასაკში ასხლეტილი მოზარდის ცოცხალი მასა 170-190 კგ- ს ხოლო სუქების ბოლოს (18 თვის ასაკში) 430-450 კგ- ს შეადგენს.
ბრანგუსის ჯიშის მოზარდი გამოირჩევა სწრაფი ზრდის უნარით და კარგი სახორცე პროდუქტიულობით: სუქებისას ცოცხალი მასის ნამატი 1080 გრამამდე აღწევს, ნაკლავის გამოსავალი 55-58%- ს შეადგენს, ხოლო ხორცი ზომიერად ცხიმიანია და ხასიათდება კარგი მარმარილოსებური ფორმით.
ბრანგუსის ჯიშის ცხოველები გავრცელებულია აშშ-ს ყველა შტატში, კანადაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, არგენტინაში, როდეზიაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

სიმენტალი (Fleckvieh): გამოყვანილია შვეიცარიაში, ამჯამად გავრცელებულია ყველა კონტინენტზე და მისი რაოდენობა 41 მილიონ სულს შეადგენს.

ესაა დაბალანსებული, პროდუქტიული და კომბინირებული დანიშნულების საქონელი. მისი ცოცხალი მასა მერყეობს: 401-500 კგ.-ის ფარგლებში, საძოვარზე სუქებისას ცოცხალი მასის ნამატი დღეში 700 გრამს აღწევს, ბაგური სუქებისას კი 1200-1300 გრამს. ნაკლავის გამოსავალი 57,9%-60%.

გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერების და ადვილად შობადობის მაღალი ინდექსით.

სიმენტალიდან წარმოებული ხორცი ხასიათდება მარმარილოსებრი სტრუქტურით და აქვს საუკეთესო გემო.

xix. დაავადებათა კონტროლი და ვეტერინალური ღონისძიებები

აჭარაში გავრეცელებული ძირითადი დაავადებები და მათი პრევენციის გზები

ჯილეხი - ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, აჭარაში გავრცელებული ძირითადი ინფექციური დაავადება ჯილეხი - ცხოველთა მწვავედ მიმდინარე, მეტად საშიში ინფექციური დაავადებაა. ჯილეხის მიმართ განსაკუთრებით ამთვისებელია რქოსანი პირუტყვი, ავადდება ადამიანიც. ცხოველთა სიკვდილიანობა 100%-ია. ჯილეხით დაავადებული ცხოველის იძულებით დაკვლა დაუშვებელია. დაავადებაზე ეჭვის მიტანისთანავე ცხოველის ტანხორცი უნდა დაიწვას. ის ადგილი სადაც ცხოველი მოკვდა ან იძულებით დაიკლა უნდა დამუშავდეს ინსტრუქციის შესაბამისად. კერა შემოსაზღვრული და დაცული უნდა იქნეს სხვა ცხოველებისაგან. დაავადებული ცხოველის მკურნალობა ძირითადად ვერ ესწრება მისი სწრაფი სიკვდილიანობის გამო.

დაავადების პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება ვაქცინები, რომელიც ეფექტურია. ცხოველებს ცრიან წელიწადში ორჯერ შემოდგომაზე და გაზაფხულზე.

ტუბერკულოზი - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციაა, ამთვისებელია ყველა სახის ცხოველი. ავადდება ადამიანიც.

ტანხორცი ნორმალური ნასუქობის დროს გამოიყენება მხოლოდ მოხარშვის შემდეგ.

ტუბერკულინიზაციის ჩატარებით მკურნალობა არ ტარდება, ტუბერკულოზით

დაავადებული ცხოველი გამოჰყავთ ნახირიდან და კლავენ, სადგომს უტარებენ დეზინფექციას.

ბრუცელოზი - ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, დაავადება გადადის ადამიანებზეც.

ბრუცელოზთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა დაავადებული ცხოველის გამოვლენა და მისი სწრაფად დაკვლა. ხორცი გამოიყენება მხოლოდ თერმული დამუშავების შემდეგ. ცხოველის სადგომში ატარებენ დეზინფექციებს.

თურქული -დიდი ეკონომიკური ზარალის მომტანი ინფექციური დაავადებაა.

თურქულის მიმართ ამთვისებელია ადამიანიც - განსაკუთრებით ბავშვები (ვითარდება გასტროენტერიტი და სტომატიტი).

ატარებენ დაზიანებული ადგილების ანტისეპტიკური საშუალებებით დამუშავებას. პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ვაქცინას. ცხოველთა აცრა ტარდება შემოდგომა-გაზაფხულზე.

შინაგანი და გარეგანი პარაზიტების კონტროლი

რეგიონში გავრეცელებულია შემდეგი სახის პარაზიტები: ჰელმინთოზები (პარაზიტული ჭიები), მწერები, ტკიპები და უმარტივესები.

აღნიშნული პარაზიტები აავადდებენ უმეტესად მოზარდ ცხოველებს,რაც იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ზოგიერთი ინვაზიური დაავადებები (განსაკუთრებით პროტოზოული და ჰელმინთოზური) იწვევენ ცხოველთა მასიურ გაწყდომას.

XX. ცოცხალი საქონლის და ხორცის რეალიზაცია

ინტენსიური ტიპის სახორცე მიმართულების მესაქონლეობის ფერმისათვის შემოსავლის მთავარი წყარო იქნება 300-350 კილოგრამამდის გასუქებული პირუტყვის რეალიზაცია. ფერმიდან პირუტყვის რეალიზაცია მოხდება მაშინ, როდესაც მათი ასაკი იქნება საშუალოდ 12-14 თვე. გასუქებული პირუტყვის მყიდველები იქნებიან უმთავრესად აჭარაში არსებული სასაკლაოები, ხორცით მოვაჭრეები, ცოცხალი პირუტყვის შემსყიდველები და ექსპორტიორები.

იმის გათვალისწინებით რომ ინტენსიური სუქებისას მიღებული იქნება მაღალი ნასუქობის და საუკეთესო სახორცე გამოსავლიანობის (50%-55%), სახორცე პირუტყვი, ამიტომ ერთი სული ცოცხალი პირუტყვის სარეალიზაციო ფასი 1 კილოგრამ ცოცხალ წონაზე საშუალოდ იქნება 5-5,5 ლარი და შესაბამისად 300 კილოგრამიანი პირუტყვის სარეალიზაციო ფასი მიაღწევს 1500-1650 ლარს. ამასთანავე აღსანიშნავია რომ სახორცე პირუტყვის ნასუქობის შეფასება უმთავრესად ხდება ვიზუალურად და მათი შეფასების სხვა რაიმე სტანდარტული სისტემა არ არსებობს.

ცოცხალი პირუტყვის საბაზრო სარეალიზაციო ფასები გარკვეულ ცვლილებას განიცდის წლის სეზონების მიხედვით, რომელიც შემოდგომა ზამთრის თვეებში საშუალოდ იქნება 1 კილოგრამ ცოცხალ წონაზე 5 ლარი, ხოლო გაზაფხულ ზაფხული თვეებში 1 კილოგრამ ცოცხალ წონაზე 5,5 ლარი.

წარმოების პროცესი და შესაბამისად ცოცხალი პირუტყვის ან ხორცის რეალიზაცია ფერმიდან უნდა დაიგეგმოს იმ მოცულობით და სიხშირით რომ მიღწეული იქნეს ფერმის მაქსიმალური ეკონომიკური მომგებიანობა.

აქედან გამომდინარე, იმისათვის რათა განისაზღვროს წლის განმავლობაში გაყიდვების მოცულობები, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საქონლის ხორცის მოხმარების სეზონურობის ფაქტორი.

კერძოდ საქონლის ხორცის მოხმარების პიკი არის ზაფხულის საკურორტო სეზონი და რეკომენდირებული წლის ამ დროს მოხდეს ცოცხალი საქონლის რეალიზაცია.

100 სულიან სასუქ ფერმაში პირუტყვის რეალიზაციები წლის სეზონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი

სარეალიზაციო პირუტყვის რაოდენობა	10	20	30	30	5	5

სარეალიზაციო არხები (მიზნობრივი ბაზრები)

	რეალიზაციის მოცულობა	შენიშვნა
ექსპორტი	20%	ექსპორტზე უმთავრესად იყიდება ცოცხალი საქონელი, ამ შემთხვევაში ცოცხალი საქონლის მოვაჭრეები ცოცხალ საქონელს შეისყიდიან პირდაპირ ფერმიდან ან საკვირაო ბაზრებიდან, რომლის შემდგომი ტრანსპორტირება ხორციელდება სპეციალიზირებული სატრანსპორტო ფურებით (30-40 სული 300 კილოგრამიანი საქონელი/მანქანაზე).
სასასაკლაოები	50%	სასაკლაოები ცოცხალ საქონელს შეისყიდიან პირდაპირ ფერმიდან ან ფერმას უწევენ დაკვლის სერვისს, რომლის ღირებულებაც 1 სულ საქონელზე შეადგენს 30-40 ლარს.
საბითუმო ბაზრები	20%	სერტიფიცირებულ სასაკლაოზე დაკლულ ხორცს ადგილობრივი ხორცის მებითუმე შემსყიდველები შეისყიდიან უმთავრესად მთელი კარკასის სახით, რომლებიც შემდგომ გადაყიდვას უკეთებენ საცალო მოვაჭრეებზე .
საცალო სავაჭრო ქსელები	5%	საცალო სავაჭრო ქსელებში იყიდება ადგილობრივი საქონლის ხორცი, რომელიც გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ხარისხით და შესაბამისად მაღალ ფასებში. სასურველია მეხორცულმა ფემამ ხორცის გაყიდვები დაგეგმოს ზაფხულის საკურორტო სეზონზე, როდესაც ხორცის მოხმარება და ფასები არის მაქსიმალური.
კვების ობიექტები/სასტუმროები	5%	კვების ობიექტები და სასტუმროები უმთავრესად შესყიდიან დაბალხარისხიან იმპორტიტრბულ საქონლის ხორს და ნაწილობრივ ადგილობრივ საქონლის ხორცს, რომელსაც ყიდულობენ საბითუმო მოვაჭრეებიდან და სასაკლაოებიდან, თუმცა მათ მიერ საქონლის ხორცის მოხმარება ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სეზონურობით.

IV. ფინანსური მაჩვენებლები

i. წარმოების ფიქსირებული ხარჯები

ზედნადები ხარჯები	თვეების რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	სულ, ლარი
დირექტორი	12	625.00	7,500.00
მომვლელი	12	500.00	6,000.00
მომვლელი	12	500.00	6,000.00
ვეტერინარი (კონტრაქტით)	12	63.00	750.00
დაცვის ხელფასი	12	250.00	3,000.00
ელ-ენერგია	7	100.00	700.00
საკომუნიკაციო ხარჯები	12	25.00	300.00
წყლის ხარჯი	7	50.00	350.00
საწვავი	12	100.00	1,200.00
სხვა ხარჯები	12	500.00	6,000.00
		ჯამი	**29,500.00**

ii. წარმოების პირდაპირი დანახარჯები

100 სული სასუქი საქონელი

LN	მასალები	ჯამური ღირებულება, ლარი	ერთეულის ფასი, ლარი	ერთეული	მასალების ჯამური რაოდენობა
1	მოზვრების შეძენა	60000	600	სული	100,00
2	სილოსი	21000	0,05	კილოგრამი	420000
3	კონცენტრატი	36750	0,70	კილოგრამი	52500
4	ვეტ. მედიკამენტები	3500	5	სული/ლარი /თვე	100*7 თვე
5	ელექტრო ენერგია	700	n.a.	კვტ/კვ2	n.a.
6	წყალი	350	n.a.	კვ2	n.a.
	ჯამი	122300	n.a.	n.a.	n.a.

iii. კაპიტალური დანახარჯები

		ერთეული	ერთეულისფასი	რაოდენობა	ჯამი დოლარი	ჯამი ლარი
1	**ფერმის შენობა**	**მ2**	$ 84,746	1 000,00	$ 84 746,00	200 000,00
2	ფერმის შიდა აღჭურვილობა: ვენტილაცია, ავტო საწყურებლები, ნაკელის გატანის სისტემა, შიდა ტიხრები, განათება				$ 21 186,00	50 000,00
3	მექანიზაცია: 80 ცხენის ძალის ტრაქტორი, ტრაქტორის მისაბმელი (4 ტონა თვირთამწეობა), სათიბელა, წნეხამკრეფი, სილოსის დამაქუცმაცებელი (ჩოპერი) და ნაკელის გამშლელი				$ 42 373,00	100 000,00
					$ 148 305,00	**350 000**

iv. (მეხორცული) სასუქი ფერმის წლიური წარმადობა

LN	პროდუქტი	ერთეული	2 015	2 016	2 017	2 018	2 019	2 019
1	საშუალოდ 300 კილოგრამი ცოცხალი წონის საქონელი	კილოგრამი	30 000	30 000	30 000	30 000	30 000	30 000

V. პროექტის საინვესტიციო მომგებიანობა, ფინანსური კალკულაციები (ლარი), მეხორცული სასუქი ფერმა

i. საინვესტიციო კოეფიციენტები

სრული ინვესტიცია	419,995
discont rate	5.00%
NPV	(74,506)
IRR	1%
საინვესტიციო პერიოდი	10 YEARS
ინვესტიციის დაფარვის პერიოდი	10 YEARS

ii. პროექტის დაგეგმილი მოგება ზარალი

მოგება-ზარალი	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5	წელი 6	წელი 7
რეალიზაცია	**163,500**	**163,500**	**163,500**	**163,500**	**163,500**	**163,500**	**114,000**
რპთ	68,750	68,750	68,750	68,750	68,750	68,750	48,125
ძირითადი მოგება	**94,750**	**94,750**	**94,750**	**94,750**	**94,750**	**94,750**	**65,875**
ძირითადი მარჟა %	58.0%	58.0%	58.0%	58.0%	58.0%	58.0%	57.8%
ადმინისტრაციული ხარჯები	31,800	31,800	31,800	31,800	31,800	31,800	32,100
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	1,635	1,635	1,635	1,635	1,635	1,635	1,140
საოპერაციო მოგება	**61,315**	**61,315**	**61,315**	**61,315**	**61,315**	**61,315**	**32,635**
არასაოპერაციო შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
არასაოპერაციო ხარჯი (დღგ)	(17,055)	(17,055)	(17,055)	(17,055)	(17,055)	(17,055)	(11,858)
EBITDA	**44,260**	**44,260**	**44,260**	**44,260**	**44,260**	**44,260**	**20,778**
ცვეთა და ამორტიზაცია	5,605	5,473	5,343	5,218	5,095	5,070	5,050
საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	-	-	-
EBT	**38,655**	**38,787**	**38,917**	**39,042**	**39,165**	**39,190**	**15,728**
მოგების გადასახადი	5,798	5,818	5,837	5,856	5,875	5,879	2,359
წმინდა მოგება	**32,857**	**32,969**	**33,079**	**33,186**	**33,290**	**33,312**	**13,369**

iii. ფულის მოძრაობის უწყისი

ფულის მიმოქცევის უწყისი	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5	წელი 6	წელი 7
ფული პერიოდის დასაწყისში	**-**	**81,187**	**116,776**	**152,356**	**187,926**	**223,487**	**259,039**
წმინდა მოგება/ზარალი	29,994	30,117	30,236	30,353	30,466	30,577	30,685
+ ცვეთა ამორტიზაცია	5,605	5,473	5,343	5,218	5,095	4,975	4,859
-/+ დებიტორები	-	-	-	-	-	-	-
-/+ მარაგები	-	-	-	-	-	-	-
-/+ სხვა მოკლევადიანი	-	-	-	-	-	-	-
+/- კრედიტორები	-	-	-	-	-	-	-
+/- გადასახდელი %	-	-	-	-	-	-	-
+/- სხვა მოკლე ვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-
ფული საოპერაციო აქტივობებიდან	**35,599**	**35,589**	**35,580**	**35,570**	**35,561**	**35,552**	**35,543**
-/+ წმინდა ფიქსირებული აქტივები	(350,000)	0	0	(0)	0	0	(0)
-/+ სხვა წმინდა ფიქსირებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-
ფული საინვესტიციო აქტივობებიდან	**(350,000)**	**0**	**0**	**(0)**	**0**	**0**	**(0)**
+/- გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-
+/- სადამფუძნებლო კაპიტალი	419,995	-	-	-	-	-	-
+/- სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-
-დივიდენდი	(24,407)	-	-	-	-	-	-
ფული ფინანსური აქტივობიდან	**395,588**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
წმნიდა ფულადი ცვლილება პერიოდის ბოლოს	81,187	35,589	35,580	35,570	35,561	35,552	35,543
ფული პერიოდის ბოლოს	**81,187**	**116,776**	**152,356**	**187,926**	**223,487**	**259,039**	**294,583**

ფულის მიმოქცევის უწყისი (დირექტიული)	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5	წელი 6	წელი 7
ფული პერიოდის დასაწყისში		**81,187**	**116,776**	**152,356**	**187,926**	**223,487**	**259,039**
+ ფული მომხმარებლებიდან	163,500	163,500	163,500	163,500	163,500	163,500	163,500
- ფული გადახდილია მომწოდებლებთან	(68,750)	(68,750)	(68,750)	(68,750)	(68,750)	(68,750)	(68,750)
- ადმინისტრაციული გადახდები	(31,800)	(31,800)	(31,800)	(31,800)	(31,800)	(31,800)	(31,800)
- გაყიდვებისა და მარკეტინგის გადახდები	(1,635)	(1,635)	(1,635)	(1,635)	(1,635)	(1,635)	(1,635)
+გრძელვადიანი სესხის მიღება	-	-	-	-	-	-	-
- გრძელვადიანი ვალდებულების ძირის გასტუმრება	-	-	-	-	-	-	-
- გრძელვადიანი ვალდებულებების %-ის გადახდა	-	-	-	-	-	-	-
-ძირითადი საშუალებები შესყიდვა ან კაპ. რემონტი/ +ძირ. საშ. რეალიზაცია	(350,000)	-	-	-	-	-	-
+ კაპიტალში თანხის შეტანა	419,995	-	-	-	-	-	-
- დივიდენდის გადახდა	(24,407)	-	-	-	-	-	-
+ სხვა შემოსავლები / - სხვა გასავლები	(25,716)	(25,726)	(25,735)	(25,745)	(25,754)	(25,763)	(25,772)
წმინდა ფულის ცვლილება პერიოდის ბოლოს	**81,187**	**35,589**	**35,580**	**35,570**	**35,561**	**35,552**	**35,543**
ფული პერიოდის ბოლოს	**81,187**	**116,776**	**152,356**	**187,926**	**223,487**	**259,039**	**294,583**

iv. კოეფიციენტები

კოეფიციენტები / **Ratios**	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5	წელი 6	წელი 7
გაყიდვების ზრდის კოეფიციენტი	NA	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-30.3%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	-	-	-	-	-	-	-
მიმდინარე კოეფიციენტი	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
სწრაფი კოეფიციენტი	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
ფულის კოეფიციენტი	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
სამუშაო კაპიტალი	81,187	116,776	152,356	187,926	223,487	259,039	294,583
მარაგების ბრუნვადობის / Asset Turnover Ratios						-	-
დებიტორების ბრუნვადობა, დღეები	-	-	-	-	-	-	-
მარაგების ბრუნვადობა, დღეები	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების დაფარვა. დღეები	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური ბალანსის კოეფ. Financial Leverage Ratios	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი.	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების და კაპიტალის ფარდობა	-	-	-	-	-	-	-
დარიცხული %-ის დაფარვის კოეფიციენტი.	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
სესხის დაფარვის კოეფიციენტი.	NA	NA	NA	NA	NA	NA	NA
მომგებიანობის კოეფიციენტი						-	-
ძირითადი მოგების მარჟა	57.95%	57.95%	57.95%	57.95%	57.95%	57.95%	57.79%
EBITDA	27%	27%	27%	27%	27%	27%	18%
წმინდა მოგების მარჟა	20.1%	20.2%	20.2%	20%	20%	20%	12%

VI. დანართი

v. ბიბლიოგრაფია

1. საგარეო ვაჭრობა,საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. 2014. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*
2. სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაცია, სურსათის ექსპორტი და იმპორტი. 2014. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*
3. ლინდსი კუბერკა; ჯონ დანმორი - აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA) ეკონომიკური კვლევის სამსახური (ERS) . თბილისი, საქართველო
   დეკემბერი 8 - 17, 2014
4. ბაზრის ანალიზი, მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა აჭარა (SDC, Mercy Corps) თებერვალი 2014

vi. მასალების მიმწოდებლები და სასაკლაოები

ვეტერინალური მომსახურეობა

1. შპს "ინვეტი"საქართველო, თბილისი; თამარ მეფის № 4; ტელ/ფაქსი: 995 32 225 19 66; ვებ-გვერდი : www.invet.ge
2. "ახალგაზრდა ფერმერთა სახლი"საქართველო, თბილისი; ქ. წამებულის №91 ;ტელ/ფაქსი: 995 32 2746396 ;ვებ-გვერდი : www. agro.ge

ფერმის ინვეტარი

1. შპს „კავკასიის გენეტიკა" დირექტორი დიმიტრი კვირიკაშვილი; ტელ: + 995 32 243 26 64; მობ: + 995 570 10 34 05; ფოსტა: info@caucasusgenetics.ge ; www.caucasusgenetics.ge საქართველო, შალვა ნუცუბიძის № 26ა;

vii. ჯიშობრივი გაუმჯობესების სერვისი

1. აგროს ერვის ცენტრი; ტელ: + 995 (422) 27 99 29; ვებ-გვერდი : www.agrosc.ge ფოსტა: agroservice.centre@yahoo.com საქართველო; ბათუმი; გოგებაშვილის 46ა

viii. მექანიზაციის სერვისი

1. შ.პ.ს. მექანიზატორი; ტელ: + 995 32 2 30 57 21; ვებ გვერდი : www. mechanization.ge ფოსტა: info@mechanization.ge; საქართველო, თბილისი, ზემო ალექსეევკა # 002/027, 0159

ix. სასაკლაოები

1. „ნუსრეთ ჯორჯია"; ტელ.: +995 555 466847; nugzaribatumi@mail.ru; ქობულეთის რაიონი, ჩაქვი (დაბა);
2. შ.პ.ს. „ორიგიო"-ხულო, სოფელი ღორჯომი
3. შუახევი „ივერი ზოიძე"; ტელ:591986880; შუახევის რ-ნი, დაბა შუახევი;
4. "ბათუმის ხორცკომბინატი"; ტელ.: +995 577 147424; idealkarcelik@hotmail.com; ხელვაჩაური,. სოფელ ერგე